ᲡᲠᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 თებერვალი, შაბათი, 1990 წ.
№ 38 (10 207) ● ფასი 3 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

სრული სპორტული სუვერენიტეტისათვის

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკის) შექმნის დღიდანვე მისი აღმასკომი, ასრულებს რა სეოკის დამფუძნებელი კონფერენციის დეკლარაციისა და სეოკის წესდების მოთხოვნებს, ოლიმპიური ქარტიის გათვალისწინებით, იღვწის როგორც სეოკის, ისე სპორტული ფედერაციების სრული დამოუკიდებლობისათვის. განვლილი ოთხი თვის განმავლობაში ამ მიმართულებით გადაიდგა რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი, რაც ეუწყა კიდეც სპორტულ, და არამარტო სპორტულ, საზოგადოებრიობას. ოლიმპიური მოძრაობა საერთოდ, და საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა კერძოდ, მოწოდებულია, სრულად წარმოაჩინოს ერის ფიზიკური და სულიერი პოტენციალი ყოველგვარი დისკრიმინაციისა და კოხიუნქტურის გარეშე.

ამა წლის 7 თებერვალს სეოკის სპორტული ფედერაციების კომისიის თაოსნობით გამართულ ფედერაციათა ხელმძღვანელების თათბირზე აშკარად გამოიკვეთა მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი, რომ ყველა სპორტულმა ფედერაციამ იზრუნოს სრული დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ — სხვა ქვეყნების, მათ შორის — მოკავშირე რესპუბლიკების, ან საერთაშორისო შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფორმების მოძებნაზე. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას და ცნობს მხოლოდ დამოუკიდებელ სპორტულ ფედერაციებს, პატივს სცემს რა სხვა ორგანიზაციათა სრულ სუვერენიტეტს, იფარგლება მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციებით, სტრატეგიული გეგმის დასახვით და თვლის, რომ მათი განხორციელების ტაქტიკური საშუალებების გამონახვა მთლიანად სპორტული ფედერაციების პრეროგატივაა. ამ ფონზე საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებები, როგორც სეოკის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, სეოკის აღმასკომის მხრიდან სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას ჰპოვებს. თითოეული სპორტული ფედერაციის საქმეა, როდის, როგორ და რა ფორმით განახორციელებს თავის სრულ სუვერენიტეტს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებას და როგორ წარმართავს თავისი სახეობის განვითარებას; თუმცა აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული სპორტული და საერთოდ ეროვნული ინტერესები ასეთი ნაბიჯების რაც შეიძლება სწრაფად და მიზანმიმართულად გადადგმას მოითხოვს. არ შეიძლება ჯეროვნად არ შეგაფასოთ ის როლი, რომელიც, კერძოდ ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოყალიბებაში შეასრულა ფართო საზოგადოებრიობამ, ეროვნულმა მოძრაობამ. სასურველია მთელი ქართველი ხალხის დაინტერესება და აქტიური მონაწილეობა სპორტის სხვა სახეობათა პრობლემების გადაწყვეტაშიც. ეს დაინტერესება არ უნდა იყოს მხოლოდ ერთდროული, ოადგან ერთია სპორტული დამოუკიდებლობის მოპოვება, ხოლო მეორე, და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, — მისი შენარჩუნება და განხორციელება ეროვნული ასპარეზობების — საქართველოს პირველობა იქნება ეს, საქართველოს თასის გათამაშება თუ სხვა — ყოველმხრივი უზრუნველყოფით, აქტიური მხარდაჭერით და საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელი გასვლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა სპორტული სუვერენიტეტის მოპოვების საქმეში არ გამორიცხავს სპორტის სპეციალისტთა და სპორტის მოღვაწეთა აზრის გათვალისწინებას, პირიქით, — გულისხმობს კიდეც მას, მაგრამ როდესაც საკითხი სცილდება მხოლოდ სპორტის ფარგლებს და ეროვნულ პრობლემად იქცევა, საქართველოს ყველა მოქალაქეს დიახაც მართებს ვიწრო ინტერესების დათმობა ზოგად ღირებულებათა სასარგებლოდ.

ბოლოს დავძენთ, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, როგორც დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციები, უკვე ცნო ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია, საქართველოს რაგბის კავშირი, საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაცია, საქართველოს უშუს ფედერაცია, საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია, საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია და ახლად შექმნილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. სეოკის აღმასკომი მიესალმება საქართველოს ყველა სპორტული ფედერაციის ცდას სუვერენიტეტის მოპოვებასა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებისათვის.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი თავისი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში კვლავაც ყველაფერს იღონებს საქართველოს სრული სპორტული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის, რომელიც სეოკს, მისი დეკლარაციის თანახმად, საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი.

22 თებერვალი, 1990. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა, სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

1990 წლის 14 თებერვალს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს უშუ-ს ფედერაცია

საქართველოს უშუ-ს ფედერაციის წესდება

1. ზოგადი დებულებანი, მიზნები და ამოცანები

საქართველოს უშუ-ს ფედერაცია არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოქმედი სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპით. ფედერაცია იქმნება გამაჯანსაღებელი და სპორტული უშუ-ს განვითარებისა და გავრცელების მიზნით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. ფედერაცია მოქმედებს დემოკრატიულ საწყისებზე და თავის მუშაობაში უშუ-ს წამყვანი სპეციალისტების, მწვრთნელების, მსაჯების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ჩაბმით ხელს უწყობს უშუ-ს შემდგომ განვითარებას საქართველოში;

საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის ინტერესებს ამ სახეობაში წარმოადგენს მხოლოდ ფედერაცია.

ფედერაცია წარმართავს, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს უშუ-ს რეგიონალური, საქალაქო და რაიონული სექციების, სპორტული ბაზებისა და საზოგადოებების, კოოპერატივების და კლუბების მუშაობას, აძლევს რეკომენდაციებს სასწავლო საწვრთნელ პროცესებსა და მეთოდურ მუშაობაში.

ფედერაცია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სპორტსაბჭომთან, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ფედერაციის მთავარი ამოცანებია:

უშუ-ს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში. სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლება, მწვრთნელთა, ინსტრუქტორთა და მსაჯთა კადრების მომზადება.

ჩემპიონატების, პირველობების, სემინარების, ფესტივალებისა და სპორტული სანახაობების მომზადება და ჩატარება, საკლუბო და რესპუბლიკური ნაკრები გუნდების ჩამოყალიბება, მონაწილეობა საერთაშორისო რანგის ღონისძიებებში.

სპორტის ამ სახეობაში საქართველოს მოსახლეობის მასობრივი მიზიდვა და სისტემატიური მეცადინეობების ჩატარება.

ᲥᲕᲘᲠᲦᲐᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ ᲰᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტ „ზაკტრანსპორტის“ სამრეწველო საწარმოთა კომბინატიდან გვატყობინებენ:

საქართველოს ფეხბურთის ახალი ფედერაციის არჩევასთან დაკავშირებით და ქართული ფეხბურთის შემდგომი აღორძინებისათვის, (ამიერკავკასიის „ტრანსმშენი“ — ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელობა მზად არის თავისი სახსრებით ააშენოს და საჩუქრად გადასცეს ახლადშექმნილ ფეხბურთის ფედერაციას ბავშვთა საწვრთნელი საფეხბურთო ბაზა ჩვენი დედაქალაქის ნებისმიერ რაიონში.

ᲔᲗ. ᲪᲮᲝᲛᲐᲠᲘᲐ,
კომბინატის დირექტორი.



26 თებერვალს, 18 საათზე

27 თებერვალს თბილისის სპორტის სახახლეში ხტარტს აიღებს თბილისის ოცდამეერთე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. შეჯიბრებაში მონაწილეობის ხურვილი გამოთქვა ბევრმა ქვეყანამ, მაგრამ ჯერჯერობით გარანტირებულია იაპონიის, საფრანგეთის, აშშ-ს, ეხპანეთის, თურქეთის, პოლონეთისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მოჯიდაოვთა სტუმრობა. მოველით აგრეთვე ძიუდოისტების ჩამოსვლას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, პოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ტურნირში, ცხადია, იასპარეზებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წარმომადგენლებიც.

26 თებერვალს, 18 საათზე თბილისის სპორტის სახახლეში დანიშნულია პრესკონფერენცია. ტურნირის ორგანიზატორებსა და უცხოელ სტუმრებს შეხვდებიან ჟურნალისტები. რომლებიც დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებენ შეჯიბრების მონაწილეებზე.

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ — ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

რომორც ვიუწყებოდით, სოფიაში მიმდინარე იუნიორ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის სტარტზე თბილისელმა ანატოლი ახალაძემ რამდენიმე შეხვედრა მოიგო და ფავორიტთა შორის აღმოჩნდა. ქართველმა სპორტსმენმა აღმავლობით ჩაატარა დასკვნითი ბრძოლებიც, ნახევარფინალში სძლია ბულგარელ რ. რადევს — 6:3, 2:6, 6:3, ფინალში კი იუნიორებში ევროპის 1988 წლის ჩემპიონს ჩეხოსლოვაკიელ დ. ფრჩლიკს — 6:2, 6:2.

ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, დანიის, იტალიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, უკრაინისა და ესტონეთის წარმომადგენლები. ამ გამარჯვებამ ახალაძეს იუნიორ ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში 40 ჭულა მოუტანა.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ VII
ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲝ Ს�პᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲐᲜᲘ „ᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ“ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ 28 წლის წინათ — 1962 წლის თებერვალში შესანიშნავმა ქართველმა მხტომელმა კობა წაქაძემ ბაკურიანში პირველი საჯავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა 70-მატრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. გამოგიტყდებით, გულის სიღრმეში გვეგონა, რომ მისი ვაჟი კახა ასევე დაეუფლებოდა სასპარტაკიადო „ოქროს“ უკრაინის დაბა ტისოვეცის ამავე სიმაღლის ტრამპლინზე, ყოველ შემთხვევაში, ერთერთ მედალს მაინც მოიიპოვებდა ან უარეს ვარიანტში V-VI ადგილებზე გავიდოდა. სამწუხაროდ, ნიჭიერმა ქართველმა „მფრინავმა მოთხილამურემ“, რომელსაც შარშან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა, გული დაგვწყვიტა აქ ჩამოსულ მის თაყვანისმცემლებს.

...56 მონაწილე გამოვიდა VII სპარტაკიადის სტარტზე (აქედან 12 უკონკურსოდ), რომელთა შორის ჩვენი რესპუბლიკის 4 წარმომადგენელიც იყო. ქვეყნის პირველი ნაკრების წევრები, უძლიერესი ოთხეული — ალმაათელი ანდრეი ვერვეიკინი, ლენინგრადელი იური გოლოვშჩიკოვი, გორკელები პაველ კუსტოვი და მიხაილ ესინი ამჟამად იტალია-ნორვეგიაში ასპარეზობენ მსოფლიოს თასზე, ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ბრძოლა ჩემპიონობისათვის ტისოვეცის ტრამპლინზე, პირველ ყოვლისა, წინა სპარტაკიადის გამარჯვებულს ვალერი კარეტნიკოვს, დიონის ვოდნევს, იური დუდარევს, სერგეი ჩუმაკს, ანდრეი ეფრემოვსა და კახა წაქაძეს შორის გაიმართებოდა. სამწუხაროდ, ჩვენმა მხტომელმა ამჯერად ვერ გაამართლა იმედი — მართალია, სასინჯი ხტომისას მას მე-6 შედეგი ჰქონდა (78 მეტრი). პირველ ჩასათვლელ სერიაში—მე-9 (75.5), მაგრამ დასკვნით ხტომაში მხო-

ᲘᲮ. ᲒᲕ-4 33

ეროვნული ბიბლიოთეკ

მიზანი — სპორტული სუვერენიტეტი!

უფლებებს—რეალური შინაარსი

დავიწყოთ იმით, რა გვსურს: ალბათ არსებობს ორი აზრი იმ საკითხზე, რომ საქართველოში მცხოვრებთა უმეტესობას, მათ შორის თვით სპორტსმენებსაც, ურჩევნიათ, საქართველოს საკლუბო და ნაკრები გუნდები დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ ნებისმიერი რანგის საერთაშორისო ასპარეზობებში. სწორედ ამიტომ, არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა გამოინახოს გზა, რომელიც ყველაზე მეტად იქნება მისაღები საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის მისაღწევად.

შეეცდები წარმოვაჩინო, როგორია არსებული ვითარება ამ სურვილის განსახორციელებლად. უპირველეს ყოვლისა, აშკარად გამოიკვეთა რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების რეალური შინაარსთან შევსების აუცილებლობა და ამჟამად მიმდინარეობს იმ საკითხთა, ასე ვთქვათ, ნუსხის შედგენა, რასაც ზემოთ აღნიშნული რეალური შინაარსი უნდა გულისხმობდეს. ამ ნუსხაში, ცხადია, სპორტიც უნდა შევიდეს.

ახლა ვნახოთ, რის უფლებას გვაძლევენ ოფიციალური დოკუმენტები ამ თვალსაზრისით. დავიწყოთ სკკპ პლატფორმიდან, რომელიც შეეხება თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნულ პოლიტიკას. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: „სსრ კავშირში შესვლით რესპუბლიკებმა ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში გადასცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განხორციელება. ამავე დროს მათ უნარჩუნდებათ სუვერენიტეტის ისეთი ხელშეუფავი ნიშანი, როგორიცაა უფლება ჰქონდეთ ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

უკვე უახლოეს ხანში ხორცი უნდა შევასხათ კონსტიტუციურ დებულებას, რომლის თანახმად სსრ კავშირმა უნდა დაადგინოს მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ზოგადი წესი და კორდინაცია გაუწიოს კერძოდ მათ მიერ თავიანთი დელეგაციებისა და მუდმივი წარმომადგენლების გაგზავნას სახელმწიფოებში, რომლებთანაც აქვთ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. რესპუბლიკების საზღვარგარეთის კავშირურთიერთობანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთო-საკავშირო ინტერესებს".

ვნახოთ, რა არის ამ დოკუმენტში ჩვენთვის მისაღები და მიუღებელი. რაც შეეხება პირველ წინადადებას, შეიძლება ითქვას, რომ გარდაქმნის პროცესის დამთავრებამდე შეუძლებელია წინასწარ გადავწყვიტოთ, კონკრეტულად რას მოიცავენ საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები, შედის თუ არა მასში სპორტიც. გარდა ამისა, მიუღებელია ის კატეგორიული ტონიც, რომლის მიხედვითაც, ალბათ, უნდა დავასკვნათ, რომ რესპუბლიკებმა ხელახლა არც კი უნდა განიხილონ საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანების ცენტრის გამგებლობაში გადაცემის საკითხი, რაც თურმე სსრ კავშირში შესვლით „ნებაყოფლობით დაუთმიათ" მისთვის.

თუ ზემოაღნიშნული წინადადება უაღრესად ბუნდოვანია, ჩვენთვის სავსებით მისაღებად მიმაჩნია პირველი აბზაცის მეორე წინადადება, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკებს უნარჩუნდებათ უფლება ჰქონდეთ ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. როგორც მოგეხსენებათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც და საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიც საერთაშორისო ორგანიზაციებია. დღეისათვის ჩვენ მათთან არავითარი ურთიერთობა არა გვაქვს, პლატფორმიდან გამომდინარე კი სრული საფუძველი გვაქვს მოვთხოვოთ საკავშირო ორგანოებს (ჩვენს შემთხვევაში: საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს, საკავშირო ფედერაციებს, საკავშირო სახელმწიფო, საზოგადოებრივ და უწყებრივ სპორტულ ორგანიზაციებს) არა მარტო ხელის შეშლის პოლიტიკის უარყოფა, არამედ პირიქით — ხელის შეწყობის პოლიტიკის გატარება რესპუბლიკების მიერ საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარების, ე. ი. მათი ფაქტიური აღიარების საკითხში.

უფრო მეტიც: მეორე აბზაცის პირველ წინადადებაში, ფაქტიურად, გამოთქმულია აზრი, რომ სსრ კავშირმა, ზოგადი წესების შემუშავებით, კოორდინაცია უნდა გაუწიოს და ხელი შეუწყოს რესპუბლიკების საერთაშორისო ურთიერთობათა გაღრმავების პროცესს.

და ბოლოს: მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკების საერთაშორისო ურთიერთობები არ უნდა შედიოდნენ წინააღმდეგობაში საერთო საკავშირო ინტერესებთან, აუცილებლად გამოიყენებენ ცენტრალური აპარატის წარმომადგენლები (თუნდაც სამსახურის შენარჩუნების მიზნით) და დაუპირისპირებენ ამ მოსაზრებას ყოველივე ზემოთქმულს. სამწუხაროდ, სკკპ პლატფორმაში, როგორც ვიცით, ბევრია მსგავსი წინააღმდეგობანი. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ და გვქონდეს ჩვენი დასაბუთებული პასუხები. კერძოდ, მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია უნდა იყოს შემდეგი: სსრ კავშირის შემადგენლობაში რეალურად მყოფი სახელმწიფოების შელახული სუვერენული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელია რესპუბლიკა წარსდგეს საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე საკუთარი (პირველ რიგში!) და სსრ კავშირის სახელით. ამაში არაფერია კავშირის საწინააღმდეგო. სპორტსმენის სახელსა და გვარს გვერდით მიეწეროს — საქართველო, სსრკ. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ყველაზე ეფექტურია ბრძოლა ამგვარი, ასე ვთქვათ, გარდამავალი პოზიციით. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ სკკპ პლატფორმაში, მიუხედავად იმისა, რომ მასში არსებული ბუნდოვანი მოსაზრებები ზოგად წინააღმდეგობას ქმნიან, გამოკვეთილადაა ჩამოყალიბებული სპორტული დამოკიდებულობის განხორციელების შესაძლებლობა, რაც საბოლოოდ საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ იგი როგორც ჩვენი საქმისათვის ხელშეშწყობი საბუთი.

ახლა ვნახოთ, რა წერია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტში: **„საქართველოს სსრ შემოქმედებითი და სპორტული ორგანიზაციები ურთიერთობას სხვა რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებთან ახორციელებენ დამოუკიდებლად საქართველოს სსრ კანონმდებლობის საფუძველზე".** არაფერი გვიშლის ხელს თუ სიტყვების „რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებთან" ნაცვლად დავწერთ სიტყვებს „რესპუბლიკებს, საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან"... გამოვა, რომ აღნიშნულ პროექტში გადმოცემული მოსაზრებანიც ქმნიან სრულ საფუძველს არჩეული მიზნის მისაღწევად.

ახლა ჩავიხედოთ საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტში. **„მომავალში მსოფლიო, ოლიმპიურ ახპარეზობებზე რესპუბლიკის სპორტსმენები უნდა წარმოადგენდნენ როგორც სსრ კავშირს, ასევე უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკასაც. ამისათვის საკავშირო და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტებთან ერთად შემუშავდება მსოფლიოს სპორტულ ფედერაციებსა და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში რესპუბლიკის ავტონომიური მონაწილეობის კონკრეტული ფორმები"** — წერია ამ დოკუმენტში. როგორც ვხედავთ, ამ კონცეფციაში რესპუბლიკის სპორტის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა არ განიხილება სსრ კავშირის იგნორირებად, პირიქით — აღნიშნულია, რომ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს ერთობლივად და ურთიერთთანადგომით. თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, მსგავსი მიდგომა, დიპლომატიური თვალსაზრისით, სავსებით გამართლებულია, ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროექტიც, ფაქტობრივად, მხარს უჭერს საქართველოს სპორტის სუვერენიტეტს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით (არაფერს ვიტყვი ისეთ დოკუმენტებზე, როგორიცაა რუსთაველის საზოგადოების საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ალტერნატიული პროექტი და სხვ.), შეიძლება დავასკვნათ, რომ გზა, რომელმაც საქართველოს სპორტულ სუვერენიტეტამდე უნდა მიგვიყვანოს, უცილობლად გასავლელია და მას რაიმე ძირეული, დიდმნიშვნელოვანი წინააღმდეგობა (ისეთი, როგორიც სსრკ-ის 70-წლიანი ისტორიაა) აღარ ახლავს.

ამჟამად, ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას საკითხი — რომელი შიმართულებით დავიწყოთ გზის გაკვალვა. მოგეხსენებათ, არსებობს სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული აზრი. **პირველი: სპორტული საქმიანობა და შეჯიბრებები უნდა ტარდებოდეს არსებული სტრუქტურით; მეორე: სასწრაფოდ, უყოყმანოდ გავწყვიტოთ კავშირი საკავშირო ორგანოებთან და ჩავატაროთ საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატები სპორტის ცალკეულ სახეობებში; მესამე: გამოვნახოთ კომპრომისული ანუ გარდამავალი ვარიანტი.**

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, პირველ ვარიანტს მე გამოვრიცხავ; მეორე ვარიანტის მომხრენი, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ ბევრნი არიან, მაგრამ მათი მოთხოვნა, როდესაც არავითარი გარანტია არ გაგვაჩნია საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად გასვლისა, იმ ვაიმწყემსს ჩამოჰგავს, მდინარის მეორე ნაპირზე გადასასვლელად ფონს რომ არ შონახავს, ცხვრის ფარას, დროის მოგების მიზნით, მორევში შერეკავს და დიდი მსხვერპლით განახორციელებს ჩანაფიქრს; ან ისეთ ადამიანს მაგონებს, რომელიც შრავალსართულიანი შენობიდან გარეთ დროზე გასასვლელად კიბეებით ჩასვლას ფანჯრიდან გადახტომას ამჯობინებს. შეიძლება ცხოვრებაში მსგავს გადაწყვეტილებებს თავისი გამართლება ჰქონდეს; მაგალითად: პირველი შემთხვევა — ფარას მგლის ხროვა ან სხვა საშიშროება უახლოვდებოდეს და მწყემსს არ შეეძლოს მისგან სხვა გზით თავდაცვა; მეორე შემთხვევა — გაჩენილი ხანძარი შენობიდან სხვა გზით გასვლა-გადარჩენას გამორიცხავს. მაგრამ ვერც ერთ მსგავს, რეალურ საშიშროებას ვერ ვხედავ, ზემოგამოთქმულ რადიკალურ აზრს მხარი რომ დავუჭიროთ. მეტიც, მგონია, რომ ამ მოსაზრების მომხრეებს ეროვნულ მოძრაობაში თვითდამკვიდრების მიზანი უფრო ამოძრავებთ, ვიდრე საქართველოს საერთო ინტერესები. საერთო ინტერესები კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ საქართველოს არც ერთ სპორტსმენს არ დავუკარგოთ სტიმული, რომელიც გამოიხატება საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის დღეს არსებული თუნდაც მცირე შესაძლებლობით, არც ერთ საკლუბო და ნაკრებ გუნდს გაურკვეველი ვადით არ მოვუსპოთ შესაძლებლობა დაიცვან საქართველოს ღირსება, არც ერთ გულშემატკივარს არ დავუკარგოთ საქართველოს სპორტსმენთა წარმატებით მინიჭებული სიხარული, საბოლოო ჯამში კი არ დავცეთ სპორტის, ერის ფიზიკური შესაძლებლობის 'გამომხატველი ამ ფენომენის განვითარების სტიმული.

ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვერც მეორე ვარიანტს დავეთანხმები. დარჩა მესამე, გარდამავალი ვარიანტი, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე მყარი საფუძველი აქვს. თუნდაც იმიტომ, რომ იგი ბუნებრივია. ყველა პროცესს უნდა ჰქონდეს თავისი გარდამავალი პერიოდი, თუ გვსურს იგი ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და გამორიცხავდეს ცხოვრებისეული კატაკლიზმების ნიშნებს.

ახლა კი ჩამოვაყალიბებ კონკრეტულ წინადადებებს, რომლებმაც ყველაზე უმტკივნეულოდ უნდა მიგვიყვანოს საქართველოს სპორტულ სუვერენიტეტამდე:

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (სპორტის სხვა სახეობების ფედერაციებმა) ოფიციალურად უნდა მიმართოს საერთაშორისო და საკავშირო ფეხბურთის ფედერაციებს (სპორტის სხვა სახეობების ანალოგიურ ფედერაციებს) თხოვნით, სსრკ კონსტიტუციის მე-80 და 76-ე მუხლების, სკკპ ეროვნული პლატფორმის, აგრეთვე სხვა დოკუმენტების საფუძველზე განიხილონ და დადებითად გადაწყვიტონ საქართველოს საფეხბურთო ფედერაციის (სპორტის სხვა სახეობების ფედერაციათა) ფიფა-ს (სხვა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების) მიერ აღიარების და, შესაბამისად, საქართველოს სპორტსმენთა საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე დამოუკიდებლად ასპარეზობის საკითხი;

ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია უახლოეს ხანში, ვინაიდან მიმაჩნია, რომ არავისთან არაფერი დასამალი არა გვაქვს. არ უნდა ვთქმევინოთ მავანს და მავანს, რომ ჩვენში რაიმე ფარული სეპარატიზმია. ამ პერიოდში, ცხადია, უნდა ავამოქმედოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა დიპლომატიური საშუალება. მას შემდეგ, რაც ჩვენ გვეცოდინება ამ ორგანიზაციათა ოფიციალური პასუხები (ისინი კი, ალბათ, უმეტესად უარყოფითი იქნება), შესაძლებელი გახდება უფრო ნათლად გამოიკვეთოს არსებული სურათი და შემდგომში გადაწყვეტილებების მისაღებად უფრო მყარი ნიადაგიც გამოგვიჩნდება;

2. ჩემი აზრით, სულაც არაა აუცილებელი, რომ საქართველოს სპორტული დამოუკიდებლობა, ჩვენი სპორტსმენების საერთაშორისო (მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები) ასპარეზზე გასვლის გვერდით, გამორიცხავდეს საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობას. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (სპორტის სხვა სახეობათა ფედერაციებმა) ამავე პერიოდში შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები ეროვნული ჩემპიონატის როლის ამაღლებისა და საქართველოს (როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ე. ი. იმ სახელმწიფოს, რომლის სპორტსმენები დამოუკიდებლად გავლენ საერთაშორისო ასპარეზზე) სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის თაობაზე, ეს წინადადებანი განსახილველად უნდა წარედგინოს საკავშირო და სსრკ სხვა რესპუბლიკების სპორტულ ფედერაციებს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები სსრ კავშირში საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად, რაც, როგორც მოგეხსენებათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ნებისმიერი საქმის ბოლომდე მისაყვანად;

3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (სპორტის სხვა სახეობების ფედერაციებმა) გარდამავალი პერიოდისათვის (ჩემი აზრით, ეს იქნება 1990 წელი) უნდა შეიმუშაოს წინადადებები, რომლებიც იქნება მოსამზადებელი ეტაპი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სპორტის სხვა სახეობების ფედერაციების) ფიფა-ს (სხვა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების) მიერ აღიარებამდე;

4. აუცილებლად მიმაჩნია, საქართველოს სპორტული სუვერენიტეტისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატონ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა საქართველოს სპორტსაბჭომი და რესპუბლიკის სხვა სპორტული ორგანიზაციები, აგრეთვე სახელოვანმა სპორტსმენებმა და სპორტის ვეტერანებმა;

5. ამ პროცესში გაცილებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. სასურველია, ეს ორგანიზაცია თავისი ავტორიტეტით იქცეს საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის განხორციელების მთავარ მამოძრავებელ ძალად;

6. აუცილებელია, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მეტი პროპაგანდა გაუწიოს თავის მიზნებს, თორემ საკავშირო ორგანოებს განგებ შეჰყავთ საზოგადოება შეცდომაში, როდესაც ოფიციალურად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ რესპუბლიკებში ოლიმპიური კომიტეტების შექმნას, რადგან იგი მხოლოდ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს ემსახურება, როგორიცაა ხალხის გაჯანსაღება.

ა. ჯორჯაძე.

რედაქციისაგან: დაკვირვებულმა მკითხველმა იცის, რომ ავტორის მსჯელობის საგნად ქცეული საკითხები ჩვენი გაზეთის ყველაზე აქტუალური თემაა. ჩვენმა სპორტულმა ვერენიტეტის მიღწევა დაიხახა და ლებებზე, ცხადია, დიდი ხჯა-ბაასიც და წინადადებები, რა თქმა უნდა, ხას, მაგრამ მის წერილში ბევრი საგულისხმო აზრი და დაკვირვებაა და ამან გადაგვაწყვეტინა მისი დაბეჭდვა.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში • I ლიგა

კოეფიციენტებმა „გაარკვია"

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატი (I ლიგა), რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ოსტატები, ოსტატები, უძლიერესი ოსტატობის კანდიდატები. გათამაშების შვიდი საუკეთესო სპორტსმენი რესპუბლიკის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას იღებდა, სადაც წლეულს ნავარაუდევია ყველა ჩვენი გამოჩენილი დიდოსტატი ქალის გამოსვლა, საუკეთესო ოთხეული კი სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირებში იბრძოლებს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად, ანუ საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის „საგზურების" დაუფლებისთვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრები სტარტიდანვე უკომპრომისოდ წარიმართა. თანდათანობით გამოიკვეთა ნიჭიერი ქუთაისელი ქალიშვილის სოფიკო ნიკოლაძის უპირატესობა, რომელმაც ბოლომდე ჩინებულად ითამაშა და 11 შესაძლებლიდან 9 ქულით პირველობას დაეუფლა. 8 ქულით დაამთავრა შეჯიბრება გამოცდილმა ოსტატმა ქეთევან მელაშვილმა. დანარჩენი ადგილებისთვის კი დაძაბული ბრძოლა წარიმართა. ერთბაშად ხუთმა მოჭადრაკემ მოაგროვა 7,5-7,5 ქულა და III-VII ადგილები გაიყო. კოეფიციენტების შეჯერებისას მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: III. ოსტატობის კანდიდატი ინგა ხურცილავა, IV. ოსტატი ლია სადუნიშვილი (როგორც მოგახსენეთ, ეს ოთხი მოჭადრაკე საკავშირო ნახევარფინალებში გამოვა), V. ოსტატი ციური კობაიძე, VI. საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი, VII. საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი.

ვლადიმერ ურიდია.



სურათზე: ჭ. მელაშვილი, ი. ხურცილავა, ხ. ნიკოლაძე და ლ. სადუნიშვილი.

ჭ. კახრაძის ფოტო.

გადაწყვეტილება ერყევია: მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატი!

საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნას და ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს გუნდებმა მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში და ჩამოსცილდნენ ყოველგვარ საკავშირო გათამაშებას, შესაბამისი რეაქცია მოყვა მთელს კავშირში. ამ სენსაციურ გადაწყვეტილებას კომენტარს უკეთებენ საკავშირო ცენტრალური გაზეთები, სხვა რესპუბლიკების პერიოდული გამოცემები, ტელევიზიასა თუ პრესაში თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ ცნობილი სპეციალისტები, მიმომხილველები. ერთი სიტყვით, ამ არაორდინარულ დადგენილებას არც შეიძლებოდა შაბლონური გამოძახილი ჰქონოდა.

რა თქმა უნდა, როცა ლაპარაკია საკავშირო ჩემპიონატიდან გამოსვლაზე, საფეხბურთო საზოგადოებრიობას პირველ ყოვლისა ის აშფოთებს, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებს თბილისის „დინამო“, ჩვენი განთქმული გუნდი, რომელიც 1936 წლიდან უცვლელად გამოდის საბჭოთა საფეხბურთო ელიტაში, ორჯერ აქვს მოპოვებული სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, ორგზის არის სსრ კავშირის თასის მფლობელი, ერთხელ კი, 1981 წელს, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

არც ლანჩხუთის „გურია“ გახლავთ ხელწამოსაკრავი გუნდი, ლანჩხუთელებმა შარშან ხელმეორედ მოიპოვეს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება და შეუერთდნენ ქვეყნის უძლიერეს გუნდთა რიცხვს.

I ლიგაში საქართველოს ახლა მეტად მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა აქვს, ქუთაისისა და ბათუმის გუნდებს სოხუმელებიც შეუერთდნენ, რესპუბლიკის სამი გუნდი I ლიგაში ისეთი მნიშვნელოვანი ძალაა, რომელსაც არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში.

დაუმატეთ ამას II ლიგის კიდევ რვა გუნდი. ცხადზე ცხადია, რომ ოსტატთა 13 გუნდი და საქართველოს კიდევ რამდენიმე საუკეთესო კოლექტივი უს ის დიდი გვარდიაა, რომელსაც სრულიად თავისუფლად შეუძლია მაღალი რანგის დამოუკიდებელი გათამაშების ჩატარება. როცა ასეთი კლასის გუნდები ცალკე იასპარეზებენ, უდავოა, აღმოიფხვრება ის მრავალზე მრავალი ნეგატიური მოვლენა, რომლებიც თან ახლდა ჩვენს ადრინდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატებს. მარტალია, პრობლემები, რთული საკითხები მრავლად გვაქვს, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება სტადიონებს, საწვრთნელ ბაზებს, გუნდების მიღება-გასტუმრებას, მსაჯობას, მაყურებლებთან მუშაობას და ა. შ., მაგრამ დიდი საქმე უპრობლემოდ და უსიძნელეებოდ არავის წამოუწყია, ეროვნული ჩემპიონატი კი სწორედ რომ დიდი საქმეა. ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, რომ პირველ ხანებში ყველაფერი ისე არ წარიმართება, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ გავა დრო, გამოცდილებასაც შევიძენთ, ხალხიც, გულშემატკივრებიც მხარში ამოუდგებიან ორგანიზატორებს და ნაკლოვანებებიც თანდათან აღმოიფხვრება.

ჩვენ მარტონი არა ვართ. სხვა რესპუბლიკებიდანაც მოდის დეპეშები, სადაც სპორტული საზოგადოებრიობა მიესალმება ჩვენს გაბედულ ნაბიჯებს დამოუკიდებელი ფეხბურთის შექმნის ასპარეზზე. აი, მაგალითად, დეპეშა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიიდან, რომელსაც ხელს აწერს 350 მეცნიერი: „გულითადად ვუღოცავთ ქართველ ხალხს დამოუკიდებელი რესპუბლიკური ჩემპიონატის გამართვას. ოფიციალურმა ცენტრმა ეს გადაწყვეტილება მიიღო როგორც ქართული ფეხბურთის ინოვაცია, მაგრამ ეს ასე არაა, ამ წლიდან დაწყებული ქართული ფეხბურთი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ევროპისა და მსოფლიო სარბიელზე. ჩვენ თქვენი დამოუკიდებლობის მხარდამჭერნი ვართ“.

საკავშირიდან ასეთი ცნობა მოვიდა:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებამ რესპუბლიკის ყველა გუნდის მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე, ფართო რეზონანსი ჰპოვა. ცენტრალურ პრესაში ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია ახლად შექმნილი ფედერაციის თავმჯდომარის ნოდარ ახალკაცის პრესკონფერენციაზე, რომელიც თბილისის ჟურნალისტთა სახლში შედგა. იქ დაწვრილებითი, დასაბუთებული საუბარი გაიმართა სამომავლო გეგმებზე. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს სიახლე ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის შემდგომ აღმავლობას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა ნამდვილ მასპინძლად იქცეს საკუთარ სახლში და საკუთრივ მართოს თავისი რესურსები. რაც შეეხება ე. წ. „თვითიზოლაციას“, ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას განზრახული აქვს ფაფართოვის ურთიერთთანამშრომლობა თანაბარუფლებიანობის პრინციპებზე საკავშირო და რესპუბლიკურ ფედერაციებთან, საქართველოს უფლება აქვს დამოუკიდებლად ეძიოს თავისუფალი კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

გაზეთ „იზვესტიაში“ ექვი გამოითქვა იმის თაობაზე, შეძლებს თუ არა საქართველო შეინახოს 14-16 ოსტატთა სრულფასოვანი გუნდი, გადააკეთოს ან ააშენოს თანამედროვე ყაიდის სტადიონები. ამასთან დაკავშირებით ნ. ახალკაცმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის პირველობაზე სხვადასხვა ლიგაში შარშან გამოდიოდა საქართველოს 13 გუნდი, რომლებსაც შესაფერისი პირობები ჰქონდათ და თუ მათ კიდევ 2-3 გუნდი დაემატება, რესპუბლიკას იმის შესაძლებლობაც ექნება, რომ მათაც შეუქმნას ასეთივე პირობები. რაც შეეხება სპორტნაგებობებს, აქ გვაქვს ლანჩხუთის რაიონის კარგი მაგალითი, სადაც ჭეშმარიტი სახალხო მშენებლობის მეთოდებით სულ რამდენიმე თვის განმავლობაში აშენდა პირველხარისხოვანი სტადიონი. საქართველო ყოველთვის მდიდარი იყო სპორტული ტალანტებით, მაგრამ საფეხბურთო საქმიანობის არასწორი ორგანიზაცია აბრკოლებდა მათს სრულ გამოვლენას და გაფურჩქვნას, გუნდებში თანაბარზომიერ განაწილებას. როცა ეს გუნდები პროფესიული ლიგის კლუბებად გარდაიქმნებიან და თანაბარი პირობები ექნებათ, ამ საფეხბურთო რესურსებსაც უფრო გონივრულად და მიზანშეწონილად გამოიყენებენ. ფეხბურთის ფედერაციასთან შეიქმნება პრეზიდენტთა და მწვრთნელთა საბჭოები, მათი წევრების პოზიცია გადამწყვეტი იქნება იმ საფეხბურთო საქმეებში, რომლებსაც მხოლოდ სპეციალისტები უხელმძღვანელებენ“.

საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის შექმნამდე ქართულ სპორტულ პრესაში ხანგრძლივი პოლემიკა იყო გაჩაღებული. თავიანთ მოსაზრებას და პოზიციას გამოთქვამდნენ გულშემატკივრებიც, სპეციალისტებიც, საბოლოოდ გაიმარჯვა საღმა აზრმა იმის თაობაზე, რომ საფეხბურთო საქართველომ საკუთრივ უნდა წარმართოს თავისი საქმეები.

22 თებერვალს, როცა ამოწურა ოსტატთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადის წარდგენის ვადა, გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფეხბურთის სპეციალისტებმა, ვეტერანებმა და აქ საბოლოოდ გაირკვა ყოველგვარი საკვანძო საკითხი: საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილება ცხოვრებაში უნდა გატარდეს და დაუყოვნებლადაც.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სამდივნომ განაცხადა, რომ საქართველოდან მიღებულია მხოლოდ პრესის შეტყობინება და არავითარი სხვა ოფიციალური განაცხადი მას არა აქვს. 22 თებერვალი ბოლო დღე იყო თბილისის „დინამოსგან“ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების თაობაზე, მაგრამ ასეთი განაცხადი თბილისიდან არ მოსულა. განაცხადების მიღება უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებისგან, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ 1990 წლის საკავშირო პირველობაზე, წყდება 26 თებერვალს.

გარდა ამისა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში 22 თებერვალს იმსჯელეს ამ საკითხზე. თუმცა ფედერაციის თავმჯდომარე ვ. კოლოსკოვი ამჟამად მოსკოვში არ იმყოფება, ფედერაციამ გადაწყვიტა 1990 წლის საკავშირო ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში ჩაატაროს 14 გუნდის შემადგენლობით, მომდევნო წლისთვის უმაღლეს ლიგას დატოვებს ბოლო ადგილზე გასული გუნდი და მის ნაცვლად უმაღლეს ლიგას შეემატებიან I ლიგაში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები.

ოფიციალური განცხადებით გამოვიდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭო. განცხადებაში ნათქვამია, რომ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭო ყურადღებით ადევნებს თვალს შექმნილ სიტუაციას, გაგებით ეპყრობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას, საკუთარი მოღვაწეობის დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნების თაობაზე. საქართველოს მუდამ ჰყავდა და ჰყავს ტყავის ბურთის ბრწყინვალე ოსტატები, რომელთა სახელები ფართოდ არის ცნობილი საერთაშორისო ფეხბურთში. ასეთთა შორის არიან ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი და სხვები, რომლებიც არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა ფეხბურთის სიამაყეს წარმოადგენენ. მაგრამ როცა დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხებზე მსჯელობდნენ, დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებმა არ გაითვალისწინეს, რომ მათი გადაგენილება მტკივნეულად ეხება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ფეხბურთის ფედერაციების ინტერესებსაც, ამიტომაც ვამედოვნებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საშუალებას გამონახავს კონსულტაციები ჩაატაროს სხვა რესპუბლიკებთანაც და მათი მოსაზრებანიც გაითვალისწინოს“.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მიმართვა მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ესოდენ რთულ, გადამწყვეტ მომენტში მოგიწოდებთ არა კონფრონტაციის, არამედ საღი გონებისკენ. მოდით, შევეცადოთ გავუგოთ ერთმანეთს, ყველა დაინტერესებული მხარე მოსალაპარაკებლად მიუსხდეს მაგიდას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს არ არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლებოდეს კეთილი ნებით, ურთიერთ სასარგებლოდ. „დინამოს“ ცენტრალური საბჭო თავისი მხრივ მზადაა ყველაფერი გააკეთოს, რათა ეს დიალოგი კონსტრუქციული და სასარგებლო გამოდგეს. დღევანდელ ეტაპზე ძირფესვიანი ნგრევა კი არაა საჭირო, არამედ ოპტიმალურ გადაწყვეტათა ძიება საზოგადოებრიობის ფართო ფენების აქტიური მონაწილეობით. ეს აამაღლებს კერძოდ ქართული და მთლიანად საბჭოთა ფეხბურთის რეპუტაციას განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების წელიწადს, სადაც ქართველ ფეხბურთელთა მონაწილეობაცაა ნავარაუდევი“.

„კომსომოლსკაია პრავდამ“ დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში მომხდარ ბობოქარ მოვლენებს. გაზეთი ასეთ პრობლემასაც უსვამს ხაზს: „როგორ იქნება თბილისის „დინამოს“ საქმე? შეძლებენ თუ არა დინამოელები ასეთი მეტოქეების გარემოცვაში თავიანთი მაღალი კლასის შენარჩუნებას?“

გაზეთი „ტრუდი“ აღნიშნავს, რომ ფეხბურთის მრავალრიცხოვანმა მოყვარულებმა სინანულით შეიტყვეს ის, რომ თბილისის „დინამო“ და მასთან ერთად ლანჩხუთის „გურიაც“ გამოეთიშებიან საკავშირო პირველობას.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელმა ა. პარამონოვმა დაადასტურა, რომ უმაღლესი ლიგის წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში გამოვა 14 გუნდი, რომელთაგან საგაისოდ ლიგას დატოვებს ბოლო ადგილზე გასული, ბოლო უმაღლეს ლიგას შეუერთდება I ლიგაში გამარჯვებული სამი გუნდი, თუ 1 მარტს თბილისის დინამოელები სსრ კავშირის თასზე არ გამოვ[illegible] თასთან სათამაშოდ [illegible] ბათ დამარცხება.

გაზეთმა „იზვესტიამ“ რამდენიმე მოზრდილი წერილი მიუძღვნა ქართულ ფეხბურთში მომხდარ ამბებს. გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგების 5 გუნდიდან ოთხმა პრინციპული თანხმობა გამოთქვა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რაც შეეხება სოხუმის „დინამოს“, სოხუმელები ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგნი არიან.

„სოვეტსკი სპორტმა“ 23 თებერვლის ნომერში ასეთი ცნობა გამოაქვეყნა: „მაშ, სსრ კავშირის ჩემპიონატი- თბილისის „დინამოს“ გარეშე? ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ადრეა წერტილი დაესვას ამ ისტორიას. მართალია, განაცხადის შეტანის რეგლამენტი დაირღვა, მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში ჯერ კიდევ არ მოსულა ოფიციალური უარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობისგან. ასეთი შეფერხებანი გამონაკლისი არაა, სხვადასხვა მიზეზით დადგენილი თარიღისთვის განაცხადები ვერ შემოიტანეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ და მოსკოვის „ტორპედომაც“. საქართველოს გუნდებისთვის კი ამ შემთხვევაში აჩქარება და ფორმალურობა ყოვლად უადგილოა, ვინაიდან ერთიანი შეხედულება ამ საკითხზე თვით საქართველოშიც არ არის. მიგვაჩნია, რომ ამ გუნდებისთვის კარი უწინდებურად ღიაა. ესაა ჩვენი გაზეთის აზრი, მაგრამ ვიცით, რომ ასეთივე პოზიცია უკავიათ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას და ფეხბურთის მილიონობით თაყვანისმცემელს მთელს ჩვენს ქვეყანაში. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ყველას გვყვარს ფეხბურთი“.

ახლა არ შეუძლებელია იმის გამჯას თუ რა არის ყველაფერი თითის გაჯავრებული დაქნევა, გულწრფელი სინანული იმისა, რომ საკავშირო ფეხბურთს [illegible] ეთიშა უაღრესად თვითმყოფადი, ორიგინალური და არაორდინარული ქართული ფეხბურთი?

მაგრამ ამ შემთხვევაში ამას, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა არა აქვს. რუბიკონი გადალახულია, უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, უკან დახევა აღარც ღირს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ჩვენი გუნდების, მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის გადაწყვეტილება ურყევია — ჩვენ დამოუკიდებელ საფეხბურთო ქვეყნად ვიქეცით, საკუთრივ უნდა გადავჭრათ ჩვენი პრობლემები და დამოუკიდებლად შევუერთდეთ მსოფლიო ფეხბურთს, ყოველგვარ ცენტრისა და დიქტატის გარეშე.

„ლელოს“ რედაქციას კვლავ და კვლავ მოსდის წერილები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, მოგვდის კოლექტიური და ინდივიდუალური დეპეშები, წერილები, რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა, გულშემატკივრებმა გულთან ახლოს მიიტანეს ქართული ფეხბურთის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სადღეისო და სამომავლო საქმე. როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში აღვნიშნეთ, რედაქცია ხელახალ დისკუსიას ამ საკითხე აღარ გამართავს, საქმე საბოლოოდ გადაიჭრა: საქართველო ჩაატარებს საკუთარ, დამოუკიდებელ საფეხბურთო ჩემპიონატს, თასის გათამაშებას და სხვა შეჯიბრებებს. ხადავო და განსახილველი უკვე აღარაფერი გვაქვს.

ᲨᲔᲡᲢᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ

Ზ. ᲞᲘᲝᲜᲢᲔᲙᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ დასავლეთგერმანელი ცნობილი მწვრთნელი ზეპ პიონტეკი 11 წელი ედგა სათავეში დანიის ეროვნულ ნაკრებს. ამ ხნის მანძილზე მან თავისი გუნდი ორჯერ გაიყვანა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, დანიის ნაკრები 1986 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც მონაწილეობდა, მაგრამ მწვრთნელი ახლა იძულებულია დატოვოს ეს გუნდი და ოთხწლიანი კონტრაქტით გაემგზავროს თურქეთში. ზ. პიონტეკი 1 ივლისიდან სათავეში ჩაუდგება თურქეთის ეროვნულ ნაკრებს.

როცა ზ. პიონტეკს მოსთხოვეს განემარტა თუ რატომ ტოვებს დანიას, მან განაცხადა: „ასეთი გადაწყვეტილება მივიღე იმის გამო, რომ ჩემს შესახებ დაუსაბუთებელი სკანდალური ცნობები გამოქვეყნდა რაღაც ფინანსურ მაქინაციებზე. მართალია, ყველაფერი ეს ე. წ. „ბულვარულ პრესაში“ დაიბეჭდა, მაგრამ მე მაინც შეურაცხყოფილი ვარ“.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზეპ პიონტეკი კონტრაქტით წელიწადში 179.000 დოლარს მიიღებს.



● **ᲠᲝᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ.** აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰოლანდიისა და იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ჰოლანდიელებიც და იტალიელებიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები არიან, ამიტომაც ამ შეხვედრამ დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია.

მცირეოდენი ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ, მაგრამ იტალიელები საკმაოდ იოლად იგერიებდნენ ამ იერიშებს, ეტყობა, იმიტომაც, რომ ჰოლანდიელთა რიგებში არ გამოდიოდა შეტევის ერთ-ერთი ლიდერი რუუდ გულიტი, საბოლოოდ თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთ საერთაშორისო შეხვედრაში იტალიელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის აღება.

● **ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** ამხანაგური მატჩი გამართეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების მონაწილეებმა ბელგიისა და შვეიცის გუნდებმა. ეს თამაშიც ფრედ დამთავრდა — 0:0.

● **ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ.** ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა შეხვედრის 42-ე წუთზე ესპანელთა თავდამსხმელმა მანოლო სანჩესმა გოლი გაიტანა მეტოქის კარში. ეს ბურთი ერთადერთი გამოდგა ამ მატჩში — 1:0.

● **ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ** კომენტარი სსრ კავშირის ნაკრების მატჩზე კოლუმბიელებთან, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ შედგა ამერიკის ქალაქ ლოსანჯელესში და დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა დამარცხებით — 2:4 (დამატებითი 11-მეტრიანებით).

მატჩს 18 ათასი მაყურებელი დაესწრო. საყოველთაო აღიარებით, საუკეთესო მოთამაშე იყო კოლუმბიელთა მეკარე რენე იგუიტა. მან მრავალი უნელესი ბურთი მოიგერია, შემდეგ კი დამატებითი 11-მეტრიანების სერიაში აიღო ლიტოვჩენკოსა და კოლეანოვის დარტყმები და ბოლოს საკუთრივ გაიტანა გადამწყვეტი პენალტი ვიქტორ ჩანოვის კარში. საბჭოთა მეკარემ მხოლოდ ერთი 11-მეტრიანის მოგერიება შეძლო.

როგორც იტყობინებიან, საბჭოთა ნაკრებმა პირველ ტაიმში დათმო ინიციატივა და ტემპს მხოლოდ მეორე ტაიმში მოუმატა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა: „აქტიური თამაში საჭირო იყო მთელი მატჩის მსვლელობაში. დამარცხებამ არ უნდა გაგვაწბილოს, ზაფხულის პერიოდისთვის იტალიაში ჩვენი გუნდი საბრძოლო ფორმაში შევა“.

თავისი მოსაზრება გამოთქვა კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელმა ფრანსისკო მატურანამაც: „გამარჯვებული ვარ თქმა უნდა, კმაყოფილი ვართ, მაგრამ ჩვენს თამაშში ჯერ კიდევ უამრავი ნაკლოვანებაა“.

ლოს-ანჯელესის ამ ტურნირს „მალბოროს თასი“ ეწოდება. მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და კოსტა-რიკის გუნდები, ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბურთები გაიტანეს გ. ლიტოვჩენკომ (68-ე წუთი) და ფ. ჩერენკოვმა (76-ე წუთი). პირველი პრიზისთვის ერთმანეთს შეხვდნენ კოლუმბიის ნაკრები და მექსიკის გუნდი „ჩივასი“ (გვადალახარა).

კოლუმბიელმა ფეხბურთელებმა გადამწყვეტი მატჩი [illegible] ით 1:0 მოუგეს მექსიკის [illegible] ტურნირზე ადგილები საბოლ[illegible] ასე განაწილდა: კოლუმბია, მექსიკა, სსრ კავშირი, კოსტა-რიკა.

მოსახლეობის საკეთილდღეოდ • ჯანმრთელობის კერა სახლმართველობაში!

თაოსნობა ვაშლიჯვრიდან იწყება

ჯერ კიდევ ორი-სამი ათეული წლის წინათ ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები სინანულით ამბობდნენ, რომ ბევრგან, მათ შორის სახლმმართველობებში, საბინაო ტრესტებში, ალმაცერად უყურებდნენ მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დანერგვას. იმჟამინდელი ნიჰილიზმის შედეგებს ახლა ვიმკით.

— მუდამ რჩებოდა იმედი, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოვა ახალი თაობა და მაშინ ყველაფერი გამოსწორდება. ახალგაზრდობა, რომელმაც თავად იგემა ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთე, წარმოუდგენელი იყო, გულგრილად მოეკიდებოდა საქმეს. ასეც მოხდა. ახლა ძნელად თუ ნახავთ ხელმძღვანელს, ადამიანის გაჯანსაღებაში ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობას რომ უარყოფდეს. მაგრამ ერთია ამგვარი მსჯელობა და მეორე, პირადად შეხვედრა თანამედროვე აზროვნების ადამიანთან. ამ წერილის გამოქვეყნებაც ერთმა კონკრეტულმა მაგალითმა გვიკარნახა.

შეიძლება ახსოვთ ჩვენს მკითხველებს: შარშან ვაშლიჯვრის დასახლებაში მაღლივ საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს კოოპერატორებმა ავტოსადგომის გახსნა მოისურვეს. მოსახლეობამ რედაქციას სთხოვა დახმარება. მცხოვრებლები შევახვედრეთ საბურთალოს რაიაღმასკომის წარმომადგენლებს. გაირკვა, თურმე იმ „ყამირზე“ პარკის გაშენება ყოფილა დაპროექტებული. ცხადია, საკითხი მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყდა... პარკი გაშენდა. მეორედ გზისა და სპორტული მოედნის სადავო საკითხის გადაჭრაში დასჭირდათ ჩვენი დახმარება ვაშლიჯვრელებს. ესეც შარშან იყო.

— შეიძლება თუ არა ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებში გამოინახოს ადგილი,სადაც მოზარდები და, სიერთოდ, მოსახლეობა თავისუფალ დროს ფიზიკური კულტურის სიკეთეს ეზიარებიან?

— გვირჩიეთ, რა გავაკეთოთ, და მზად ვართ, — ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად გვითხრეს ადამიანებმა, რომლებსაც ვაშლიჯვრის №118 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში შევხვდით და შემდეგ იმავე თემაზე რაიონის საბინაო ტრესტის ხელმძღვანელსაც ვესაუბრეთ.

— რაღა შორს წავიდეთ, მოდით აქედანვე, თუნდაც ჩემი კაბინეტიდან დავიწყოთ, — გვითხრა კანტორის უფროსმა ომარ ბაცანაძემ. რაიონის საბინაო ტრესტის ხელმძღვანელობაც მხარში ამოგვიდგება. თან დასძინა: ამ შენობის პირველი სართული მთლიანად ჩვენია, გვითხარით, რა და როგორ გამოვიყენოთ მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

კანტორის მთავარი ინჟინერი შოთა მაისურაძე:

— ეს სამი ოთახი ერთმანეთისგან უგებგმო ტიხრითაა გამოყოფილი, იმ ტიხარს ავიღებთ და მშვენიერი დარბაზი გამოვა. საჭადრაკო ოთახსაც გამოვყოფთ, პედაგოგორგანიზატორს, ფიზკულტურის მეთოდისტსაც აქ მივცემთ სამუშაო ადგილს. აქვე შეიძლება ჩამოყალიბდეს ჯგუფები ხერხემალგამრუდებული ბავშვებისა და ინვალიდებისთვის. მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარე ზაზა მახვილაძე ამ საუბარს ესწრებოდა და უყოყმანოდ განაცხადა თანადგომა. ეს სიახლე დიდ დიღომშიც დავნერგოთ — გამოთქვა სურვილი.

როგორ არ ჰგავდა ამ ადამიანების მსჯელობა ზოგიერთი ასეთივე კანტორისა და საბინაო ტრესტის თავკაცთა პოზიციას, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ მთლიანად ჩაიგდონ ხელში საცხოვრებელი კორპუსების პირველ სართულებზე ეგრეთ წოდებული არასაცხოვრებელი ფართობი (ის, რაც მაღაზიებისთვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტებისთვის გამოიყოფა ხოლმე), მერე კი, როცა თავისას გაინაღდებენ, ხან ვის ჩაასახლებენ და ხან ვის, მათ შორის კოოპერატორებსაც.

— ჩათვალეთ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია, ახლა მთავარია სპორტული დარბაზის ინვენტარით აღჭურვაში გაგვიწიონ დახმარება. ასეთი იყო ერთსულოვანი აზრი.

ვინ შეიძლება გაუწოდოს დახმარების ხელი ენთუზიასტებს? თუ საქმე ოფიციალურ საბუთებზე მიდგება, გავიხსენოთ სადირექტივო ორგანოების მრავალრიცხოვანი დადგენილებები, რომლებშიც მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლა-ხელშეწყობისთვის უამრავი ორგანიზაციაა ჩამოთვლილი. მაგრამ ჩვენ მაინც ყველაზე რეალურ იმედს ვუკავშირებთ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურ საბჭოს და ამ საბჭოსთან შექმნილ სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკურ ფონდს, ცალკეული კოოპერატივების ქველმოქმედებას. რედაქცია დაელოდება მათს გამოხმაურებას, რათა იგი დაუყოვნებლივ აცნობოს ვაშლიჯვრის დასახლების მობინადრეებს.

საბინაო-საექსპლოატაციო კანტორა შესანიშნავ მაგალითს იძლევა. ვინ იქნება შემდეგი? დროა ყველგან და ყველაფერში სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. ამას ხალხი მოელის.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

ნერსეს აკოფოვი

გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი ნერსეს აკოფოვი, კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართულ სპორტის სამსახურს შეუწირა და უმაღლესი კლასის მოჭიდავეთა რამდენიმე თაობა აღზარდა.

იგი თექვსმეტშვილიან ოჯახში დაიბადა, მაგრამ ყველასგან განსხვავებით სიჭაბუკეშივე დაადგა სპორტის გზას და სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატნია მისთვის. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით მის პირველ აღმზრდელებს, ქართული სპორტის პატრიარქებს გიორგიჯ ყენჯატაშვილსა და გიორგი ჩიკვაიძეს. ამ უკანასკნელმა გაუღვივა ჭიდაობისადმი ინტერესი, დააყენა სწორ გზას და ხელი შეუწყო მისი ნიჭის ყოველმხრივ განვითარებას.

ნერსეს აკოფოვის ახალგაზრდობაში სპორტს არ ჰქონდა ისეთი გაქანება როგორც ახლა და მოჭიდავეებიც, ფაქტობრივად, რეგიონალურ ტურნირებში მონაწილეობდნენ. იგი იყო საქართველოს ათგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, 1927 წელს გაიმარჯვა ამიერკავკასიის პირველობაში, ერთი წლის შემდეგ კი საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი გახდა. იგი შემდგომშიც საკმაოდ დიდხანს გამოდიოდა ასპარეზზე და ტოლს არ უდებდა ახალგაზრდებს. ნიშანდობლივია, რომ სარბიელი დატოვა ორმოცი წლისამ, როცა თბილისის სახელმწიფო ცირკში გამართულ „სპარტაკის“ საკავშირო პირველობაზე იჭიდავა.

მაგრამ ნერსეს აკოფოვს ქართული სპორტული საზოგადოებრიობა უფრო მეტად იცნობს როგორც მწვრთნელს, ახალგაზრდა თაობის ერთგულ და გულისხმიერ დამრიგებელს. მან ხშირად იცოდა თქმა: საქართველოში ნიჭიერი მოჭიდავეები არ დაილევიანო და მართლაც, ნერსეს აკოფოვმა აღზარდა ასზე მეტი სპორტის ოსტატი, ამდენივე ოსტატობის კანდიდატი და გაცილებით მეტი თანრიგოსანი მოჭიდავე.

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებას ტყუილუბრალოდ არ იძლევიან. ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ მწვრთნელის მიერ აღზრდილ მოჭიდავეთა გვარებს გაიხსენებთ. ჯერ მარტო რად ღირს მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რომან რურუას გვარის დასახელება. ან კიდევ შალვა ჩიხლაძის, რომან ძნელაძის, ზაურ მჭედლიშვილის, თამაზ მაკავარიანის, კოტე ღულუნიშვილის, სხვათა და სხვათა გახსენება.

ნერსეს აკოფოვმა ღირსეულად მოიხადა ვალი საყვარელი სპორტის და ქართული საზოგადოებრიობის წინაშე, უშიშარი კაცი რომ იყო, ამას ომის დროს მიღებული ორდენები და მედლებიც ამტკიცებენ, დაკვირვებული მწვრთნელი რომ იყო, ეს მისი საქმიანობითაც არის ცხადი. იგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში და აქაც აღმზრდელის უჩვეულო უნარითა და ტაქტით გამოირჩეოდა.

ნერსეს აკოფოვმა დიდი და საინტერესო 87-წლიანი ცხოვრების გზა განვლო და ალალი, უანგარო და შრომისმოყვარე კაცის სახელი დატოვა.

საქართველოს სპორტსახკომი, კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია, ომისა და სპორტის ვეტერანთა საბჭო.

ბაკურიანში „დარჩენილი“ ნახტომები

(დასასრული)

ლოდ 73,5 მეტრი „იფრინა“, რამაც მას XII ადგილი მოუტანა (176,2 ქულა). ამით კ. წაქაძემ ჩვენს გუნდს 19 ჩასათვლელი ქულა შესძინა.

კარგად გადახტა პირველ ცდაზე წაღვერელი ოსტატი ელგუჯა ორჯონიკიძე (75,5), მაგრამ მეორე ნახტომი ბევრად სუსტად შეასრულა (69) და 162,3 ქულით XXVI ადგილზე გავიდა. ასევე ბევრად უფრო სუსტი დასკვნითი ნახტომი ჰქონდა 39-ე ადგილზე გასულ ბაკურიანელ კალერი მინასიანს — 142,7 ქულა (ნახტომები — 68 და 66 მეტრზე). არც ჩვენი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 18 წლის ალან თიბილოვი „ჩამორჩა“ თანაგუნდელებს — პირველ ნახტომს 66 მეტრზე, მეორე ცდაზე მან 5 მეტრი „მოაკლო“ და 118,3 ქულით 44-ე ადგილზე აღმოჩნდა.

ჩემპიონობა კი 19 წლის ალმაათელმა დიონის ვოდნევმა მოიპოვა — 200,3 ქულა (78 და 81,5 მ.), მეორე შედეგი აქვს მის თანაგუნდელს ალექსანდრ ტარანოვს — 197,5 (81 და 79,5 მ.), მესამე — მინსკელ სერგეი ჩუმაკს — 189,5 (77,5 და 78).

ოთარ ნოზაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.
(ტელეფონით).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

ლენინგრადი. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მეორე შეხვედრაც მოუგო თბილისის „დინამოს“ — 116:75 (59:31).

ვილნიუსი. „სტატიბა“ ამჯერადაც დამარცხდა შინ ტალინის „კალევთან“ — 66:82 (37:35).

ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 თებერვლისთვის

ცსკა	33	29	4	62
„დინამო“ (მ.).	32	24	8	56
„ბუდიველ.“ (კ.)	34	21	13	55
ვეფ (რიგა)	34	19	15	53
„კალევი“ (ტალ.)	31	19	12	50
„უალგ.“ (კაუნ.)	33	15	18	48
„სპარტ.“ (ლენ.)	32	14	18	46
რტი (მინსკი)	32	12	20	44
„დინ.“ (თბილისი)	30	11	21	43
ახკ (ალმა-ათა)	27	15	12	42
„შახტ.“ (დონ.)	32	9	23	41
„სტატ.“ (ვილნ.)	34	5	29	39

კოეს დიდი პოლიტიკური ამგზიცეები

33 წლის ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა სებასტიან კოემ, ოკლენდში (ახალი ზელანდია) ჟურნალისტებს განუცხადა:

— მოკლე ხანში დავამთავრებ სპორტულ კარიერას და მთელ ჩემს დროს პოლიტიკურ საქმიანობას დავუთმობ. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორთა პარტიის ერთ-ერთი კანდიდატი ვიქნები. არც იმას გამოვრიცხავ, რომ 2000 წლისთვის ინგლისის პრემიერ-მინისტრი გავხდე, თუკი, რა თქმა უნდა, ჩემმა პარტიამ ძალაუფლება მოიპოვა. როგორც ხედავთ, ისევე, როგორც სპორტში, პოლიტიკაშიც დიდი ამბიციები მაქვს.

სებასტიან კოეს ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი აქვს.

არტურ ეში— საპატიო დოქტორი

ზანზ ჩოგბურთელ არტურ ეშს, რომელიც ოდესღაც უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული იყო, ახლა ჰარტფორდის უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა ფილოლოგიაში. ასეთი საპატიო შეფასება დაიმსახურა მისმა წიგნმა „ძნელი გზა დიდებისაკენ“, სადაც ეში ეხება შავკანიანი სპორტსმენების პრობლემებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩემპიონატში მონაწილეობა დისკვალიფიცირებულია

ჯეფ ფენჭი, განთქმული ავსტრალიელი მოკრივე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი უმჩატეს წონით კატეგორიაში („უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნის“ ვერსიით) დისკვალიფიცირებულია გაურკვეველი დროით.

საქმე ის არის, რომ ოკლენდში ამასწინანდელი საერთაშორისო ტურნირის დროს ფენჭმა ასე ჩათვალა — მსაჯები აშკარად გასაქანს არ აძლევდნენ მის მოწაფეს ჯუსტინ როუსელს, უგანდელ გოდფრი ნიაკანთან მატჩში. მსოფლიო ჩემპიონმა ვეღარ მოითმინა და... დაერია მსაჯებს! მას დიდი აყალმაყალის შემდეგ პოლიციელების თანხლებით დაატოვებინეს დარბაზი.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე

მონარდეთა საყურადღებოდ!

კომერციული ფირმა „ვესტა“ 1990 წლის აპრილში აწყობს საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატს მოკლე და გრძელ ნარდში, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს.

ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (თბილისი, ლენინის ქ., №36). რეგისტრაცია მოხდება 15 თებერვლიდან 20 მარტამდე ყოველდღე, კვირის გარდა, 11-დან 16 საათამდე (ხუთშაბათობით — 11-დან 14 საათამდე).

რესპუბლიკის რაიონებში მცხოვრებთ შეუძლიათ რეგისტრაცია გაიარონ წერილობით. წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: 380007, ქ. თბილისი, კიროვის ქ., №11ა, კომერციული ფირმა „ვესტა“. კონვერტზე აუცილებელია აღნიშვნა: „ჩემპიონატი“. წერილში უნდა ეწეროს სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება, მისამართი და ტელეფონი; აგრეთვე ნარდის სახეობა, რომელშიც გსურთ მიიღოთ მონაწილეობა (მოკლე, გრძელი ან ორივე).

ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს 25 მანეთი. მათთვის, ვინც რეგისტრაციას წერილობით გაივლის, აუცილებელია წერილთან ერთად გამოგზავნონ თბილისის კალინინის რაიონის ბინსოცბანკის განყოფილებაში №300461640 ანგარიშზე 25 მანეთის გადარიცხვის ქვითარი.

საქართველოს ეროვნული პირველობის ჩემპიონებსა და პრიზიორებს ელით ფასიანი საჩუქრები და ფულადი პრემიები. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შედგება რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო და საერთაშორისო მატჩებში.

ჩემპიონატის დაწყება ნავარაუდევია 1990 წლის 20 აპრილისათვის ქალაქ თბილისში. კომერციული ფირმა „ვესტა“ მზად არის, მიიღოს განაცხადები იმ ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან თუ კოოპერატივებიდან, რომელთაც სურთ სპონსორობა გაუწიონ საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატს ნარდში.

კრის ევერტი — სიუვარულის მსხვერპლი

სახელგანთქმულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა კრის ევერტმა თქვა, **რომ იგი ორჯერ დამარცხდა უიმბლდონის ტურნირის გადამწყვეტ მატჩებში სიყვარულის გამო.**

1975 წელს მთელი საჩოგბურთო სამყარო დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს კრის ევერტისა და ჯიმი კონორსის რომანს, რომელიც იმით დამთავრდა, რომ ჩოგბურთის „პრინცი“ და „პრინცესა“ ერთმანეთს დაშორდნენ. და აი, „ოფიციალური“ ვანხეთქილებიდან ცოტა ხნის შემდეგ ევერტი უიმბლდონის ნახევარფინალში თავის თანამემამულეს ბილი-ჯინ კინგს ხვდებოდა.

იგი იხსენებს: „გადამწყვეტ სეტს ვიგებდი ანგარიშით 3:0, როდესაც მოულოდნელად ტრიბუნაზე ჯიმი და მისი ახალი სატრფო — მსახიობი სიუზან ჯორჯი დავინახე. თვალებს არ დავუჯერე! როგორ გაბედა ჩემს წინაშე ამ ქალთან ერთად გამოჩენილიყო! ამან იმდენად შემძრა, რომ მერე ზოგჯერ ბურთს ჩოგანსაც კი ვერ ვახვედრებდი... და შეხვედრა წავაგე“.

სამი წლის შემდეგ უიმბლდონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ევერტი და მარტინა ნავრატილოვა. კრისი მაშინ ჯონ ლოიდზე იყო შეყვარებული და მათ მალე უნდა ექორწინათ.

„მესამე სეტს ვიგებდი ანგარიშით 4:2 და 40:15. ამ დროს გავიფიქრე, რომ მალე გავთხოვდები ჯონზე და ბურთი აუტში „გავუშვი“. მერე ვეღარ შევძელი მთელი ყურადღება ისევ ჩოგბურთზე გადამეტანა და ჯერ გეიმი წავაგე, შემდეგ კი — სეტიც“.

როგორც ცნობილია, ევერტი ცოლად გაჰყვა ლოიდს, მაგრამ რვა წლის შემდეგ გაეყარა.

პუბლიკაცია მოამზადეს ზაზა კვერცხიშვილმა და კობა ბრეგვაძემ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380036,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,
„ეროვნი“ — 98-97-26, „ბიბოვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380036, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08742